# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №29

*(CPV: 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი)*

თბილისი 14 თებერვალი, 2015 წელი

ერთის მხრივ - **სსიპ - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის **ზურაბ გეწაძის** სახით და მეორეს მხრივ - ს/ს „გუდვილი" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის **ნუგზარ გაბრიჭიძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი*

1.1. ხელშეკრულების საგანია თეატრის საკუთარი შემოსავლების სახსრებით თეატრისათვის სახარჯი რეკვიზიტების სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია:

| პროდუქციის დასახელება | განზ. | რაოდ. | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) | CPV კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| m&m - დრაჟე შოკოლადით (45გ) | ც | 1.00 | 1.15 | 1.15 | 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი |
| ვაშლი „კეხურა" (ქ) | კგ | 0.448 | 2.50 | 1.12 | 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი |
| კიტრი (იმპ) | კგ | 0.384 | 3.60 | 1.38 | 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი |
| ოხრახუში (ქ) | კგ | 0.202 | 1.90 | 0.38 | |
| სალათის ფოთოლი (ქ) | კგ | 0.372 | 2.20 | 0.82 | 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი |
| სანტე - ალუბლის წვენი - 1 ლიტ | ც | 2.00 | 3.50 | 7.00 | 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი |
| ქათამი ტაბაკა | კგ | 0.684 | 18.90 | 12.93 | 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი |
| | | | *სულ* | | *24.78* |

## *2. ხელშეკრულების ღირებულება*

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **24,78 (ოცდაოთხი ლარი, 78 თეთრი) ლარი**, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და ყველა გადასახადის ჩავლით.

## *3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი*

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

## *4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები*

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. მიწოდების ადგილია ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი №1, ხოლო მიწოდების თარიღი - ხელშეკრულების გაფორმებიდან **2015 წლის 17 თებერვლის** ჩათვლით.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.4. საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.